საინფორმაციო წერილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი 2023 წლის 27-28 მაისს გამართავს **სტუდენტთა II კავკასიოლოგიურ კონფერენციას**.

კონფერენცია ეძღვნება **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105-ე წლისთავს**.

მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ნებისმიერი ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს.

სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური, რუსული.

მასალები მიიღება **2023 წლის 31 მარტამდე** მისამართზე: student.caucasology@tsu.ge

ტექნიკური მოთხოვნები:

- რედაქტორი: MS Word, გვერდის ზომა: A4;
- შრიფტი: Sylfaen, შრიფტის ზომა: 11, მანძილი ხაზებს შორის: 1.15;
- ტექსტის მოცულობა: მაქსიმუმ 600 სიტყვა;
- ფაილის სათაურის ფორმატი: *გვარი სახელი (თეზისი).docx*
  მაგ.: *ბეჟიტაშვილი მარიამ (თეზისი).docx*
- გამოგზავნილ ფაილს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია ავტორ(ებ)ის შესახებ:
  - გვარი, სახელი;
  - მოხსენების სათაური;
  - უმაღლესი სასწავლებელი, ფაკულტეტი, მიმართულება / სპეციალობა;
  - ელ. ფოსტის მისამართი;
  - ტელეფონის ნომერი;
  - სამეცნიერო ხელმძღვანელის გვარი, სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია.

კონფერენცია გაიმართება **ჰიბრიდული ფორმატით.**
მასალების კრებული გამოიცემა ელექტრონული სახით და მიენიჭება ISBN.

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №19, III სადარბაზო, მე-4 სართული, არნოლდ ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმი

+995599700317
student.caucasology@tsu.ge